პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 183 (19924) კვირა, 9 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მწყობრშია საწარმოს ახალი კორპუსი

ბალის რაიონის ეკონომიკაში სისტემატურად მატულობს სამრეწველო პროდუქციის ნვედრითი წილი. მიმდინარე წელს აქ მწყობრში ჩადგა ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალის ახალი კორპუსი, რომელშაც საგრძნობლად გაზარდა საწარმოს სიმძლავრე. ფილიალის ჩამოყალიბების პირველი წლიდან (1982 წ.) დღემდე პროდუქციის გამოშვება რამდენჯერმე გაიზარდა.

საწარმოს კოლექტივის გარჯით მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

საწარმოს რეკონსტრუქციაგაფართოებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა კადრების მომზადებას, მათს დოსტატებას. გალელი ახალგაზრდები ამჟამად კვალიფიკაციას იმაღლებენ ბათუმის მეთაურ ქარხანაში, სადაც ითვისებენ მღარავების, მრანდავების, ხარატებისა და სხვა პროფესიებს.

ჩაის კრეფისა და გადამუშავების მიმდინარე წლის სეზონს მომზადებული შეხვდნენ საწარმოს მუშა-მოსამსახურეები. მომზმარებელს გაეგზავნა ჩაის საღონი ღუმლები, ორთქლის კამერები, სხვა დანადგარები, მაკომპლექტებელი დეტალები.

უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები. დაგეგმილია 150-ადგილიანი საერთო საცხოვრებელის, 27-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, 140-ადგილიანი სბაბაშვო ბაღის, მუშათა სასადილოს და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ი. გამსახურდია,
„კომუნისტის“ შტატგარეშე კორ.

ხარისხია შრომის განმსაზღვრელი

ჩვენი მიმოხილვა

ახლა სუბტროპიკული ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი საკრეფად უყველგან უხვად არის შემოსული. კრეფის ტემპიც გაძლიერდა. 3 აგვისტოს რესპუბლიკაში მოიკრიფა 5.095 ტონა ჩაის ფოთოლი, 4 აგვისტოს — 5.719 ტონა, 5 აგვისტოს — 6.086 ტონა, 6 აგვისტოს — 6.072 ტონა.

ყოჩაღობენ მახარაძელი მეჩაიეები, რომლებიც გეგმა-ვალდებულებით სეზონში 105.952 ტონა ნედლეულისათვის იბრძვიან. სეზონის დაწყებიდან მახარაძელებმა კრეფის სწრაფი ტემპი აიღეს და დღემდე ინარჩუნებენ. მათ 3 აგვისტოს თუ 945 ტონა ხარისხოვანი ნედლეული დაამზადეს, 6 აგვისტოს უკვე 1136 ტონა დამზადდა. შარშანდელ ამ დროსთან შედარებით კი მოკრეფილი აქვთ 21.739 ტონით მეტი ნედლეული.

ქობულეთის რაიონის მეჩაიეები წლეულს უკეთ ირჯებიან, ვიდრე შარშან. შედეგიც შესანიშნავი აქვთ: დღეში აქ 742 ტონა ნედლეული მზადდება. შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 9.549 ტონით მეტი ჩაი.

ქების ღირსი არიან ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, ხელვაჩაურის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ჩოხატაურის რაიონების მეჩაიეები, რომლებიც ჩაის სიუხვისათვის ლაშქრობაში წარმატებას აღწევენ.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ რესპუბლიკაში დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება წულუკიძის, სამტრედიის, თერჯოლის, ვანის, მახარაძის, ჩოხატაურის რაიონების და წყალტუბოს ზონაში. საქმე ის გახლავთ, რომ რაიონების ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის მესვეურები რაოდენობას გამოეკიდნენ, ხარისხი კი დაივიწყეს. ასეთ მეურნეობებში ყლორტებს გაუშვებენ ხოლმე და დუყებს კი როცა დამსხვილდება, მაშინ კრეფენ. ფაბრიკების ხელმძღვანელები კი ამას თვალს არიდებენ. საკითხავია, რატომ?! საწარმოებს ხომ უფლება აქვთ გაეამუშავებლად მარტო ხარისხოვანი ნედლეული მიიღონ?

ეს და სხვა ნეგატიური ფაქტორები არსებითს გავლენას ახდენს მზა პროდუქციის ხარისხზე. მომხმარებელიც სამართლიანად უკმაყოფილოა. რა არის ეს, თუ არა უპასუხისმგებლობა, დღევანდელობის მოთხოვნის შეუფასებლობა?

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით, 7 აგვისტოსათვის დასაღები საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სულ მოკრეფილია 364.259 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 90.387 ტონით მეტია.

მახარაძის რაიონში დამზადებულია 62.657 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 49.392, გალში — 36.599, ქობულეთში — 31.539, ოჩამჩირეში — 25.972, წალენჯიხაში — 21.734, ლანჩხუთში — 19.545, ჩხოროწყუში — 17.598, გეგეჭკორში — 17.316, ხელვაჩაურში — 16.138, ჩოხატაურში — 11.013, ხობში — 9.966, ცხაკაიაში — 8.785, ტყიბულის ზონაში — 8.173, წყალტუბოს ზონაში — 7.432, წულუკიძეში 6.557, ვუდადუთაში — 5.817, გულრიფშში — 2.072, სამტრედიაში — 1.991, ქედაში — 1.212, თერჯოლაში — 961, ვანში — 835, ჭიათურის ზონაში — 732, სოხუმში — 656, აბაშაში — 486 და ზესტაფონში — 81 ტონა.

ახლა, რიცა ჩაი საკრეფად უხვად არის შემოსული და ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები ამ გაგანია სიცხეში ენერგიას არ იშურებენ, გამალებით კრეფენ ნედლეულს, მეჩაიეობის რაიონების ხელმძღვანელებმა (სანამ გვიან არ არის) ამთავითვე უნდა იზრუნონ ხარისხისათვის, ეს საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკასაც მეტს შემატებს, მეჩაიეც უკეთეს ანაზღაურებს მიიღებს და ხარისხოვანი პროდუქციის მიწოდებით მომხმარებელიც კმაყოფილი იქნება.

ძვირფასო მეჩაიეებო! გვახსოვდეს, ხარისხია თქვენი წარმატების განმსაზღვრელი.

შეხვედრის დროს.

საკლეს-საკინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა

ამერიკელ რუსული ენის მასწავლებელთა ჯგუფთან

საბჭოთა კავშირში იმყოფება რუსული ენის მასწავლებელთა დიდი ჯგუფი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან არის ჩამოსული. მასწავლებლები რუსულ ენაში გადიოდნენ სტაჟირებას ლენინგრადში კულტურულ-ურთიერთობის შეთანხმებისა და 1986-1988 წლების თანამშრომლობისა და გაცვლის პროგრამის ფარგლებში, რომლებსაც ყენევის 1985 წლის შეხვედრაზე მოაწერეს ხელი მ. ს. გორბაჩოვმა და პრეზიდენტმა რ. რეიგანმა.

ამერიკელმა მასწავლებლებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მიმართეს წერილით, რომელშიც გულწრფელი მადლობა უძღვნეს საბჭოთა კავშირში სტუმართმოყვარული მიღებისათვის და სთხოვეს შეხვედროდა მათ.

7 აგვისტოს მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შეხვდა ამერიკელ მასწავლებლებს.

მ. ს. გორბაჩოვი. თქვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში იმყოფებით. მოგესალმებით, მეგობრებო! მართლაც, ჩვენს მეგობრად მიგვაჩნია ყველანი, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსულ ენას ასწავლის. ეს კეთილშობილური საქმეა. თქვენგან კარგი წერილი მივიღე. რუსულადაც საუცხოოდ დაგიწერიათ.

მომინდა შეგეხვედროდით. აქ ინიციატივა თქვენ გეკუთვნით. მაგრამ, იქნებ ღირდეს მხოლოდ შეგახსენოთ, რომ ინიციატივა მაინც ჩემგან და პრეზიდენტ რეიგანისაგან მომდინარეობს. ის, რომ თქვენ საბჭოთა კავშირში იმყოფებით, ხომ ყინვის მორიგებათა რეალიზაციაა. ეს კარგი თანხმობაა. თქვენ აქ ექნეს კვირას ბრძანდებოდით. შესაძლებლობა გაქვთ გაგვიზიაროთ ზოგი რამ.

ჩემი მხრივ, მეც მინდა ზოგი რამ თქვა. მაგრამ მაინც გთხოვდით, პირველებს თქვენ ისეოღოთ სიტყვა. თქვენ გამოიჩინეთ ინიციატივა, სტუმრები ბრძანდებით, ასე რომ, სუბრისათვის გიწვევთ.

ჯონ შილინგერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, ოკლაჰომის შტატის უნივერსიტეტის პროფესორი. ამერიკელ რუსული ენის მასწავლებელთა დელეგაციის სახელით შილინგერი გულითად მადლობას უძღვნის მ. გორბაჩოვს, მისი თქმით, საგანგებო თანხმობისათვის შეხვედროდა მასწავლებლებს. მან თქვა, რომ ყინვაში უმაღლეს დონეზე წამოყენებული იდეის საფუძველზე დაიწყო ამერიკელი და საბჭოთა რუსული და ინგლისური ენების მასწავლებლების გაცვლა: 15-15 კაცი შარშან და 25-25 — წელს. გაისად მოველით, რომ მათი რიცხვი გაიზრდება, თქვა შილინგერმა. ამ გაცვლის მიზანი ერთია თქვენთვისაც და ჩვენთვისაც. ეს წვლილს მატებს ჩვენი ქვეყნების ცოცხალ ურთიერთობას, ორმხრივი თანამშრომლობის გაუმჯობესებას და რუსული და ინგლისური ენების სწავლების გამუდმებულ სრულყოფას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირში.

აღტაცებული ვართ პროგრამითა და ლენინგრადში სწავლით, აგრეთვე შესაძლებლობებით, რომლებიც მოგვენიჭა კულტურული თვალსაზრისით, ამ შესანიშნავი ქალაქის მეცნიერებთან, ადამიანებთან შეხვედრებით. ყველაფერი შესანიშნავი იყო. მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ, და დარწმუნებული ვართ, ასეთივე შთაბეჭდილება დარჩება თქვენი მასწავლებლების ჯგუფს, რომელიც ახლა გადის კურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მ. ს. გორბაჩოვი. არ მეგულება არც ერთი შემთხვევა, რომ ამერიკელებს და საბჭოთა ადამიანებს ცოცხალი ურთიერთობა ჰქონოდეთ და შემდეგ სანანებლად გახდომოდეთ გამართული საუბრები.

შარშან მოეწყო ერთობლივი კრუიზი მისისიპზე. ახლახან დამთავრდა საპასუხო კრუიზი ვოლგაზე. სწორედ ამ რამდენიმე დღის წინათ ვნახე ტელევიზიით. ადამიანები კარგ ხასიათზე არიან, კვლავ მრავლად ჰქონდათ დისკუსიები. მაინც, როდის მოიჯერებენ გულს ლაპარაკით რუსები და ამერიკელები! ეტყობა, ბევრი რამ აქვთ სთქმელი ერთურთისათვის. და ეს კარგია, რომ ლაპარაკობენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ ხალხთა უშუალო წარმომადგენლები. ეს ძალზე საჭიროა და მე მივესალმები ამას. დაე, უფრო ხშირად შეხვედროდნენ ერთმანეთს საბჭოთა ადამიანები და ამერიკელები, დაე ყველას შეექმნას საკუთარი შთაბეჭდილება ერთმანეთზე.

ჯ. შილინგერმა თქვა, რომ მათ ნახეს არქეოლოგთა მიერ ნაპოვნი ოქროს ნაკეთობათა გამოფენა. ჰოდა, ენების მასწავლებლებიც ჩვენი ქვეყნების ოქროს განძსაცავები არიან.

მ. ს. გორბაჩოვი. მე უფრო მაღალ შეფასებას მივცემდი მათ **(იცინიან).** ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახალ თაობებს ასეთი მასწავლებლები ეყოლებათ.

ჯ. შილინგერი. თქვენთან შეხვედრა მკაფიოდ წარმოაჩენს როგორც თქვენს, ისე ჩვენს მისწრაფებას უკეთესი მერმისისაკენ და იმის იმედს, რომ ჩვენი ქვეყნების ახალი თაობები საუკეთოდ გაუგებენ ერთმანეთს, იცხოვრებენ მშვიდობიანად. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ მოგვანიჭეთ შესაძლებლობა თქვენთან ერთად ვიარაოთ ამ მიზნისაკენ.

კიროლ ლოგანი, ვისკონსინის შტატის სკოლის მასწავლებელი. მეც მინდა გითხრათ, რაოდენ მადლობელი ვარ თქვენი. თან მინდა ცოტადენი პირადიც დავძინო. ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვიყო გარკვეული რუსეთის ისტორიაში. და შემდეგ მან გამოთქვა თავისი აზრი რუსი ერის ისტორიაში ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის როლის შესახებ. და ასე დაამთავრა: ყველაზე დიდ წარმატებას ვუსურვებ თქვენს ყველა იდეას, ძალიან ბევრია მონდომებული, რომ თქვენ ყველაფერი კარგად მიგიდიოდეთ მთელ თქვენს გარდაქმნაში. ამ გარდაქმნამ ბევრი, ძალზე ბევრი იმედი წარმოშვა.

მ. ს. გორბაჩოვი. მაშ წარმატებას გისურვებთ? მე მესმის თქვენი, ძალიან კარგად გაგიგეთ.

იცით, მე აი ასეთი მოკლე შენიშვნით გიპასუხებთ, საერთოდ, ალბათ, არ არის ისტორია უადამიანებოდ, უპიროვნებებოდ, ყველაფერი ეს გასაგებია, იგი უსახური ხომ არაა და მაინც, თუ ვიღაც რაღაცის მიღწევას ახერხებს ისტორიაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩნდება შესაძლებლობა გამოხატო მშობიფიებული მოთხოვნილებანი, როდესაც გაცნობირებულია ის, რაც უკვე არის თვით ცხოვრებაში, მომწიფებულია თვით ხალხში. მეც ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენი გარდაქმნა, ყველაფერი, რაც ახლა ხდება, ყოველივე ეს თვით ხალხისაგან მომდინარეობს. საზოგადოებას სჭირდებოდა ეს, და ამიტომ **მთავარი** კონკრეტულად ესა თუ ის კაცი არ არის. რა შუაშია, ვინ იქნებოდა ეს — გორბაჩოვი, ესიდროვი, პეტროვი თუ გავრილოვი. ბევრი ხალხი ჩაება ადგილებზეც და მოსკოვშიც გარდაქმნაში. ჩაება აქტიურად, და ახლა ისინი არიან ყოველივე იმის კოლექტიური თანაავტორები, რაც ამჟამად ხდება პოლიტიკაშიც და პრაქტიკაშიც. მაგრამ იმისათვის, რაც თქვენ ბრძანეთ, მადლობელი ვარ.

რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ლენინგრადელებთან შეხვედრებმა?

თქვენ ხომ გქონდათ შეხვედრები? იმედი მაქვს, თქვენ არავინ გიშლიდათ ხელს და არ გიქმნდათ დაბრკოლებებს შეხვედრებში, არა?

კ. ლოგანი. საერთოდ ადამიანებთან? ძალზე კარგი შეხვედრები გვქონდა. ყველანი ღია გულით გვხვდებოდნენ.

მ. ს. გორბაჩოვი. ძალიან კარგი, მოხარული ვარ, რომ ასეთი შეხვედრები გქონიათ.

კ. ლოგანი. ჩვენ ყველას გვიყვარს ლენინგრადი.

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენც **(იცინიან).**

ტომ ფინი, ვისკონსინელი მასწავლებელი. მინდა გავიმეორო ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელის სიტყვები და მადლობა მოგახსენოთ პატივისათვის, რომელიც თქვენ დაგვდეთ. დიდი მადლობა.

მარტინ დოილი, ნიუიორკელი მასწავლებელი. მინდა. მოკლედ ვთქვა. მსურს მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ ჩვენ შეგვხვდით. პირადად ჩემთვის კი ეს კარგი საჩუქარიც არის ჩემი დაბადების დღეს. (მ. ს. გორბაჩოვი და მასთან ერთად დანარჩენები ულიცავენ და ტაშს აჯილდოებენ დოილს).

ნ. გრიშინ-ვოიკე. მეც ვასწავლი რუსულ ენას ნიუ-იორკის სკოლაში. სახელად ნატაშა მქვია, წარმოშობით რუსი ვარ. ბევრი რამ მსმენია ჩემი წინაპრების ქვეყანაზე. ძალზე მოხარული ვარ, რომ ახლა შემიძლია ვასწავლო რუსული ენა შეერთებულ შტატებში და ჩემს მოწაფეებს გავუზიარო რუსული ენისა და ლიტერატურის სიყვარული. მახარებს, რომ ჩემს წინაპრებს ასეთ შესანიშნავ ქვეყანაში უცხოვრიათ. დიდი სიამენებით ვუამბობ ყოველივეს ჩემს მოწაფეებს.

მ. ს. გორბაჩოვი. გმადლობთ. ერთი მითხარით, ამერიკაში ძლიერდება თუ ცხრება რუსული ენისადმი ინტერესი?

ხმა. მე ვიტყოდი, რომ ძლიერდება.

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენ ვიცით, რომ თქვენში ცოტანი სწავლობენ რუსულს.

ჯ. შილინგერი. როგორც ვიცით, ჩვენში სულ 8 ათასი. მოსწავლე სწავლობს ამჟამად რუსულ ენას. საშუალო სკოლებში დაახლოებით 350 რუსული ენის მასწავლებელია. უნივერსიტეტებში ჩვენთან დაახლოებით 28 ათასი კაცი სწავლობს რუსულ ენას. მაგრამ, ჩემი აზრით, რაოდენობა იზრდება. ვფიქრობ, 2-3 წლის შემდეგ გაცილებით მეტნი იქნებიან რუსული ენის შემსწავლელნი. ახლა ყველას აინტერესებს საბჭოთა კავშირი და რუსული ენა, ჩვენ ყოველდღიურად ვეცნობით ტელევიზიით, გაზეთების მეშვეობით საბჭოთა კავშირის ამბებს. და ინტერესიც სწორედ ამიტომ ძლიერდება.

მ. ს. გორბაჩოვი. რა მოგეწონათ, რა არ მოგეწონათ საბჭოთა კავშირში; ოღონდ, გულახდილად. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენც კი არ მოგვწონს ყველაფერი, თორემ გარდაქმნა არც გვეჭენებოდა.

პარი კოლიხი. მე კალიფორნიის შტატიდან ვარ. ვასწავლი სანფრანცისკოს საშუალო სკოლაში. „სოვეტსკაია კულტურას“ მივწერე წერილი, დამიბეჭდეს. ვწერდი, რომ ჩემი დაკვირვებით, რუსი კაცის ხასიათი წაადგა ამერიკელის ხასიათს. და ძალზე მადლობელი ვარ. თქვენ არასდროს არ დამავიწყდებით. ეს მარტო ჩემი კი არა, ყველას აზრია. პირადპირ აღტაცებული ვარ.

მ. ს. გორბაჩოვი. როგორ იგრძენით აქ თავი ფსიქოლოგიურად?

მ. კოლიხი. ფსიქოლოგიურად? როგორც ჩემს მეორე სახლში **(გამოცოცხლება).**

მ. ს. გორბაჩოვი. ალბათ, საბჭოთა კავშირში ვერ ნახავდით ყველაფერს, რაც საჭიროა, ყოველდღიურობის, ყოფის მოწყობის, მომსახურების, ვაჭრობის თვალსაზრისით. აქ მრავალად გვაქვს სუსტი ადგილები, თუმცა ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ადამიანთა ცოცხალი ურთიერთობის თვალსაზრისით — ეს კი ყველაზე მთავარია — ადამიანთა ურთიერთობა, თქვენ აქ ნახეთ საზოგადოება, რომელიც კარგ მდგომარეობაშია, ნახეთ ადამიანები, რომლებსაც გული მიუდიათ ერთმანეთისა და სხვა ქვეყნების ადამიანებზე.

მ. კოლიხი. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური თვალსაზრისითაც — ასეთ კონტაქტს ადამიანთა შორის. ეს ყველაზე კარგი რამაა, მე პირდაპირ აღტაცებული ვარ.

მ. ს. გორბაჩოვი. ვინ არის მასწავლებელთა დელეგაციაში ყველაზე ახალგაზრდა? ან იქნებ ასაკს მალავთ.

დონა პადულა. ალბათ, ჟე **(ყველანი იცინიან).**

მ. ს. გორბაჩოვი. თქვენ გქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდით ჩვენს ახალგაზრდობას?

დ. პადულა. უკვე ორი წელია, რუსულ ენას ვასწავლი. ვფუშობ საშუალო და დაწყებითს სკოლაში ნიუ-იორკის შტატის ერთ პატარა ქალაქში. ხშირად ვუამბობ ხოლმე მოსწავლეებს საბჭოთა კავშირის შესახებ. აქ კი პირდაპირ სიტყვები არ მყოფნის. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას. შემიძლია გითხრათ, რომ როდესაც შინ დავბრუნდებით, ყველას ყველაფერს ვუამბობთ. ჩვენ ყველანი ძალზე მოხარული ვიყავით იმისა, რომ აქ ვმეცადინეობდით, ვხვდებოდით რუსებს. ჩემი მოწაფეები ხშირად მეკითხებიან ხალხთა ახალგაზრდობაზე. ახლა შემიძლია ვუთხრა, როგორია თქვენი ახალგაზრდობა. იგი ძალიან ლამაზია, ძალზე ჰგავს ჩვენსას.

მ. ს. გორბაჩოვი. ამ დღეებში ხომ არ წაწყდომიხართ ამერიკელების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების თუნდაც ერთ ფაქტს?

დ. პადულა. არა. მართალია, ერთხელ ქუჩაში გამაჩერა ვიღაც კაცმა და მკითხა — მშვიდობა როდის იქნებაო? მე კუთხარი, იმედი მაქვს მშვიდობა სულ მალე იქნება-მეთქი.

მ. ს. გორბაჩოვი. ეს ძალზე საინტერესო ამბავია. დარწმუნებული ვარ, მეგობრებო, საღაც უნდა ყოფილიყავით საბჭოთა კავშირში, ვერსად ვერ ნახავდით უპატივცემულო დამოკიდებულებას ამერიკელების მიმართ. ვერსად. შეგიძლიათ მთელი ჩვენი პრესაც წაიკითხოთ. იქ ნახავთ კრიტიკას, გარჩევას, მსჯელობებს, მთავრობის, ამა თუ იმ ჯგუფების პოლიტიკის, განცხადებების შეფასებებს, მაგრამ თქვენ ვერსად ვერ ნახავთ უპატივცემულო დამოკიდებულებას ამერიკისა და ამერიკელების მიმართ. თუმცა „წითლები“ კი „მოდიან“ **(სიცილი),** მაგრამ ისინი მოდიან თქვენთან ერთად ერთი საკაცობრიო გზით.

ბეტ მელოვჩიკი, ასპირანტი პენსილვანიის შტატიდან. კავშირში მეორედ ვარ. სამი წლის წინათ აქ ვსწავლობდი. და მინდა დავძინო, რომ ახლა კვლავ მინდა დავბრუნდე, რათა მთელ წელიწადს ვისწავლო. მინდა, თავისუფლად ვილაპარაკო რუსული. ჯერჯერობით არ შემიძლია. მაგრამ ძალიან მინდა. ეს იმიტომ, რომ — ძალზე მომშწონს: უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს რუსეთთან, საბჭოთა ადამიანებთან ურთიერთობა.

იაკობ ვოლკოვი, მასწავლებელი კალიფორნიის შტატიდან. მეც მინდა შევუერთდე სამადლობელ სიტყვებს და ასევე ეუსურვო წარმატება რეფორმას. იცით, როდესაც შინ, ჩვენთან ამერიკაში, ვინმეს ვმასპინძლობთ ხოლმე, და მოულოდნელად სხვადასხვა ენებს შორის რუსულს გავიგონებ, იმავ წამს რაღაც სითბოს შევიგრძნობ. მინდა მივიდე და ვნახო, ვინ არის ეს. ხოლო როცა აქ ჩამოვედით ვნახეთ, რომ თურმე ყველანი ლაპარაკობენ რუსულს, სულ პატარა ბავშვებიც კი **(სიცილი).** ძალიან გვესიამოვნა, რომ კარგად შეგვხვდნენ. გერცენის ინსტიტუტმა კარგად მიგვიღო. არავითარი დაბრკოლება არ გვქონია. თეთრ ღამეებს კი ქუჩაში ვატარებდით. გისურვებდ ყველას ყოველივე საუკეთესოს — რომ გარდაქმნა სრული ძალით მიმდინარეობდეს. მინდა, რომ ჩვენ ყველაფერში მშვიდობიანად მოვრიგებულიყავით.

მ. ს. გორბაჩოვი. ხომ არ შეცვლილა რამე. თქვენს წარმოდგენაში ჩვენი ქვეყანის ახლანდელი სტუმრობის შედეგად?

ი. ვოლკოვი. შეიცვალა. აქ წინათაც ვყოფილვარ და მაშინ ეგრძნობოდი, რომ ჩემთან ეშინოდა.

(დასასრული 80-ე გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ობოლ ბავშვებთან მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, აღნიშნულია მიღებულ დადგენილებაში, ბავშვებისათვის ზრუნვა საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმედ მიაჩნიათ.

საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ ობლები და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები. ისინი გარემოსილი უნდა იყვნენ ხალხის მუდმივი სიყვარულითა და მზრუნველობით, ჭკნნდეთ სულიერი და ფიზიკური განვითარების ყველა პირობა, იზრდებოდნენ სრულფასოვან და ბედნიერ მოქალაქეებად. ყოველ ბავშვს ვნდა ვანვიხმაროთ და შეეფუმსუბუქოთ ბედღერება, მამაშვილურად ამოდგეგეთ მხარში და მტკიცედ დაეყრდნეთ ფეხზე, დაეწყებინოთ დამოუკიდებელი ცხოვრება გაბედულად, იდეურად მომზადებულ, გამოჯე, აქტიურ მოქალაქედ.

ჩვენს ქვეყანაში ბორიელდება ღონისძიებანი ობოლებისა და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებლად. ჩვენ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობლების აღზრდას უძღვება პედაგოგთა, ექიმთა, მედიცინის მუშაკთა დიდი რაზმი. ბევრი მეთვალინეობა თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტია და თავისი გულის მთელ სითბოს უზიარებს ბავშვებს, იღვწის იმისათვის, რომ ბავშვები ბრძენდნენ ბედნიერ ადამიანებად.

ბაგრამ ობოლ ბავშვებთან მუშაობის დონე, ნათქვამია, დადგენილებაში, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სოციალისტური საზოგადოების შესაძლებლობებს, მის ჰუმანურ ბუნებას, სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. არ არის შექმნილი ამ ბავშვთა ყოველდღიური ცხოვრებისადმი, მათი უფლების განვითარებისა და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების, სოციალური მომავლის უზრუნველყოფისადმი საყოველთაო ყურადღების ვითარება. „ყოველი ობოლი ბავშვის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების, მისი ბედის დაცვა ჯერ კიდევ არ გამხდარა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მრომითი კოლექტივების ღვიძილის საქმე. ბევრ ჩვილ ბავშვთა სახლში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში არ არის დაძლეული გულგრილობა ბავშვთა შინაგანი სამყაროს, სულიერი ფანვეთორებისადმი ვხვდებით ბავშვებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს.

ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოს, შრომითს კოლექტივს ვერ შეუგნია ამ საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა, შერიგებია ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, არ ანალიზებს მათი საქიროებანი და მოთხოვნები. ბავშვთა აღზრდის საქმეში სუსტად ამამენ საზოგადოებრიობას. არ იგრძნობა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძალისმეცენ კოორდინაცია.

„განსაკუთრებით შეუწყნარებელი და სოციალიზმის ჰუმანური პრინციპებისადმი უცხოა ობლობა ცოცხალი მშობლების ხელში. ის პირნი, რომლებიც უგულებელყოფენ მშობლის მოვალეობებს, დედისა და მამის ვალს, როგორც წესი, არ გაჰყავთ საზოგადოებრივი გაკიცხვის სამსჯავროზე და არ აკისრებენ პასუხისმგებლობას. შესუსტებულია ყურადღება ოჯახის განმტკიცების, მის მიერ უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციების შესრულების საკითხებისადმი. ამ მუშაობაში არ ითვალისწინებენ ახალ საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებს, ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორების მოქმედებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საეროდ მიაჩნია, რომ სოციალური სამართლიანობის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე შეიქმნას უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა ცხოვრების ძირეული გაუმჯობესების თვისებრივად ახალი პირობები და მეცადინეობანი. საბავშვო დაწესებულებების კოლექტივები უნდა ესწრაფვოდნენ ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც მაქსიმალურად მიუახლოებს ბავშვს ოჯახის ჯანსაღ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. ობოლი ბავშვებისათვის უნდა უზრუნველყოფთ სიმიდიდო სოციალური მომავალი. ყოველმხრივი განათლების მიღება, არჩეული პროფესიის დაუფლება, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

კარდინალური ცვლილებებია განსახორციელებელი ობოლებთან და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებთან მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას, საეროო მტკიცედ გადავიდეთ შინაარსიანი, საინტერესო მოცალეობის პრაქტიკულ ორგანიზაციაზე, თანდაყოლილი ნიჭის დროულ გამოვლენა-განვითარებაზე, პიროვნების დადებითი პოტენციალის რეალიზაციის პირობების შექმნაზე.

უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ობოლ ბავშვთა ჯანმრთელობის განმტკიცებას, მათი მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფასა და ამ მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს ობოლი ბავშვების კვება, ხარისხოვანი ტანსაცმელ-ფეხსაცმლით, სხვა საქონლით მომარაგება, განმტკიცდეს ჩვილ ბავშვთა სახლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ამ დაწესებულებათა ყველა მოთხოვნილება. ამისათვის უნდა გამოიყოს საჭირო სახელმწიფო სახსრები.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ის, რომ მეცამეტე ხუთწლედშივე უზრუნველვყოთ ობოლი ბავშვებისათვის განკუთვნილი ყველა ინტერნატ-დაწესებულება კეთილმოწყობილი შენობებით. მათი მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ თანამედროვე პედაგოგიური მოთხოვნების შესაბამისი პროექტებით, რომლებიც ითვალისწინებენ ბავშვთა სრულფასოვანი ცხოვრების, მათი ყოველმხრივი განვითარების ყველა საჭირო პირობას. შეუწყნარებელია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ საეთ დაწესებულებათა ქსელის განვითარებას, ამ მიზნით საწარმო-ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ძალისმენენ გაერთიანებას, არ აძლევენ პრინციპულ შეფასებას ჩვილ ბავშვთა სახლებს, საბავშვო სახლებს, სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაწესებულ დავალებათა ჩაშლის ფაქტებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, პ

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა

ამერიკელ რუსული ენის მასწავლებელთა ჯგუფთან

(დასასრული)

...ათ ხმის ამოღება. რაღაც გამირბოდნენ, გულახდილობა არ იგრძნობოდა. ახლა კი ყველაფერი ისე თავისუფლად არის, ყველგან ისე გულახდილად ლაპარაკობენ, და ყველას სურს გამოთქვას თავისი აზრი. უკვე ეს მიმაჩნია დიდ პროგრესად.

მერი შამბური. მე რუსულ ენას ვასწავლი მინესოტის შტატში. მეც ასევე ძალზე მადლობელი ვარ თქვენი.

მ. ს. გორბაჩოვი. იცით, პირველად მინესოტის შტატი სმინდის ჯიშით გავიგე (**გამოცოცხლება**).

მ. შამბური. მინდა ვთქვა, რომ ასეთი შეხვედრის შემდეგ რუსული ენისადმი ინტერესი გაიზრდება და სულ უფრო მეტად გაძლიერდება ჩვენს ქვეყანაში. სულმოუთქმელად მოგელით ამერიკაში, გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას. ვიცით, რომ ძალზე მოუცლელი ბრძანდებით. მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ შეგძლებოდათ 5 კვირა გაატაროთ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ჩვენ — თქვენსაში.

მ. ს. გორბაჩოვი. ეს, ალბათ, აუხდენელი ოცნებაა. აი, ხუთ დღეს მაინც რომ მამყოფა, ეს უკვე კარგი იქნებოდა. ახლა ჩემი ვიზიტები — ეს არის ძირითადად დისკუსიები, აზრთა გაზიარება, და ძალზე ცოტა დრო მრჩება ადამიანებთან, ქვეყანასთან კონტაქტებისათვის.

საწინააღმდეგო თუ არაფერი გაქვთ, ორიოდ სიტყვას ვიტყვი. ვუბრუნდები იმას, რითაც დავიწყე: მე თქვენ გხვდებით როგორც მოყვარეებს. ენა ურთიერთობის საშუალებაა, და თუ რუსულ ენას, რომლის მიმართაც, როგორც თქვენ თქვით, ახლა ინტერესი იზრდება, შეისწავლის სულ უფრო მეტი ამერიკელი — ახალგაზრდები, ბავშვები, მოზრდილები, სპეციალისტები, — ეს თავის როლს შეასრულებს ჩვენი თანამშრომლობის განვითარებაში, ერთურთის უკეთ გაგებაში. ეს ის არის, რაც ჩვენ გვაკლია. ჩვენ გვაკლია ცოცხალი ურთიერთობა, ერთმანეთის გაგება, ცოტა არ იყოს, პატივისმცემლური დამოკიდებულებაც. აქ მაგრა იმუშავეს გარკვეულმა ძალებმა. ახლა არ ღირს იმათი გახსენება, ჩამოთვლა, ნუ მოვყვებით იმაზე ლაპარაკს, რომელ მხარეს მიუღია მეტი „ამაგი“ ამ საქმეში. მაგრამ ძალზე ბევრი დაგვგროვდა ისეთი წარმოდგენები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს თანამშრომლობას, გვეღობებიან მისი განვითარების გზაზე. მე სულ ვფიქრობ: სად ვიშოვოთ ისეთი დიდი ბუღალტერი, რომ მთელი ეს ხერგილები გაწმინდოს. მაგრამ, ეტყობა, საწადელი რეალურ შეფასებებს უნდა ეფუძნებოდეს. ჩვენ უნდა ვხედავდეთ რეალობებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს რეალურად წარვმართოთ ჯგუფებიც, პოლიტიკა ერთმანეთის მიმართ, მივაგნოთ ურთიერთგაგების გზებს.

ამიტომ, ვფიქრობ, ინგლისური ენის შესწავლა ჩვენში და რუსული ენისა — ამერიკაში ძალზე დიდმნიშვნელოვანი რგოლია იმ საქმეში, რომ ფართოვდებოდეს ურთიერთგაგება ჩვენს ხალხებს შორის, ფართოვდებოდეს ჩვენი ადამიანების უშუალო კონტაქტები. მაგრამ, რა თქმა უნდა, ენის უცოდინარობა არ უნდა უშლიდეს ხელს კონტაქტებს, გაცვლა-გამოცვლას, ურთიერთობას. ჩვენ თუ იმას ველოდეთ, როდის ეცოდინება საბჭოთა კავშირში ინგლისური ენა ყველას და, მით უმეტეს, შეერთებულ შტატებში — რუსული, ბევრი რამ დაგვიკარგავს. ახლა კი დროის დაკარგვა არას გვარგებს. დრო ნამდვილად მოითხოვს იმას, რომ ჩვენ და თქვენ ერთად მოვიფიქროთ, როგორ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა. შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი — ეს ხომ თანამედროვე სამყაროს უდიდესი რეალობაა. და რაკი მსოფლიოში არის ასეთი რეალობანი და რაკი ვიცით, რომ ამ მსოფლიოში, ფართო მასშტაბით რომ ვილაპარაკოთ, ახლა ერთი ბედი გვაკავშირებს, რომ ჩვენ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ, ვსარგებლობთ მისი რესურსებით, ერთმანეთს ვუზიარებთ ამ რესურსებს და ვხედავთ, რომ ისინი არ არის ულევი, რომ მათ უნდა გავუფრთხილდეთ, უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას, გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ, — ეს რეალობაა ყოველი ჩვენგანისათვის, ყველასათვის. ეს — ჯერ ერთი. მეორეც ის, რომ არის იხეთი მრისხანე იარაღი, როგორიც ბირთვულია. და იგი ძირითადად თავმოყრილია საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო იმის 10 პროცენტი, თუმცა რა 10, — თუნდაც 1 პროცენტი, რაც ამ ორ ქვეყანას აქვს, საკმარისია იმისათვის, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მთელ პლანეტას და კაცობრიობის მთელ ცივილიზაციას.

მაშასადამე, ამ თვალსაზრისითაც ჩვენ და ამერიკელებს ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია ყველა ხალხთა წინაშე. პოლიტიკოსებს, ჩვენს ორ სახელმწიფოს, ჩვენს ხალხებს აკისრიათ განსაკუთრებული, უნიკალური პასუხისმგებლობა მთელი საკაცობრიო ცივილიზაციის წინაშე. ამერიკელ ხალხს ეყო სიმისო პოტენციალი, რომ ახლანდელი ამერიკა შეექმნა. საბჭოთა კავშირში „ვეყოო პოტენციალი სიმისოდ, რომ ჩამორჩენილი ქვეყანა დღევანდელ საბჭოთა კავშირად გადაგვეყვანა. და დღეს, ყოველივე იმის მიუხედავად, რაც ჩვენს ძნელ ისტორიაში გადაგვხდა, — ეს არის უზარმაზარი მძლავრი განვითარებული სახელმწიფო, გათლეული ხალხი, რომელსაც უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი აქვს. მაშ, ნუთუ ჩვენს სახელმწიფოებს, რომლებსაც ხელმწიფემოდგა ასეთი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა, არ ეყოფათ სიბრძნე, უნარი, პასუხისმგებლობა და ერთმანეთის პატივისცემა სიმისოდ, რომ გაერკვნენ დღევანდელ მსოფლიოში და არ დაუშვან კატასტროფა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, ინფორმატიკამ დღეს დააარსოლოგა ხალხები. შეიძლება გამოვიყენოთ ისინი, რათა ურთიერთგაგება იზრდებოდეს. მაგრამ შეიძლება გამოვიყენოთ ისინი ისე, რომ ადამიანები გათიშოს. ბოლო დრამდე ასეთი გამოყენება ასე თუ ისე შეგვრჩა, თუმცა დანაკარგები, უზარმაზარი დანაკარგები ამის შედეგად — უკვე გვაქვს. მაგრამ ეი, მსოფლიო მიადგა ისეთ მიჯნას — მე მოგახსენებთ ჩვენს მტკიცე რწმენას — უწინარესად ეს ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც და სსრ კავშირსაც, — რომ დროა ვიფიქროთო, რდგორ ვიცხოვროთო შემდეგ. თუ ყველაფერს ისევე განვაგრძობთ, როგორც იყო, და არაფერს არ შევაცვლით, მაშინ ძნელი იქნება განკვრეტა, სად ალმოვჩნდებით თუნდაც 10-15-20 წლის შემდეგ. მე მგონი, ჩვენი ქვეყნების მომავლისათვის, მთელი ცივილიზაციის მომავლისათვის შეშფოთების გრძნობა ძლიერდება როგორც საბჭოთა ხალხში, ისე ამერიკელ ხალხში.

ჩვენთვის სულ ერთი როდია, რა ბედი ეწვევათ სხვა ხალხებს. ვინც უნდა მელაპარაკოს და რაც უნდა მითხრას, ვერასდროს ვერ დამაჯერებს, რომ ამერიკელი ხალხი აგრესიულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ამას ვერ დავეთანხმები. ალბათ, არიან ადამიანები, რომლებსაც ხელს აძლევს დაძაბულობა, ხელს აძლევს ომი. ეს ასეა. ეს ასეა. ეს ასეა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების ნებაყოფლობითი შენატანის შემოსვლა.

საბჭოთა ადამიანების ნებისმიერმა თანსწორმა, რომელიც ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ მიზნებს შეესაბამება, უნდა პოვოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების დაინტერესებული მხარდაჭერი.

ჩვენში არ შეიძლება იყოს და არ უნდა იყოს უპატრონოდ მიტოვებული, ხელშეშვებული ბავშვები არც ჩვილ ბავშვთა, არც საბავშვო სახლებსა და არც სკოლა-ინტერნატებში, სპეციალურ სკოლებსა თუ ზეიბარ ბავშვთა დაწესებულებებში, ქუჩაში თუ ოჯახში.

მოზარდი თამობის აღზრდა, მისი მოქალაქეობრივი, შრომითი, ზნეობრივი ჩამოყალიბება — ეს არის შემოქმედებითი მუშაობა, ღვწა მომავლის საკეთილდღეოდ, დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმიანობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მისცა განახორციელონ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სამხედრო და შეფი საწარმოების შრომითი კოლექტივების, ფართო ხალხთა საზოგადოებრივის მტკიცე შემობრუნება ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საარსებო საკითხებისადმი. მიიჩნიონ ეს მუშაობა უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფო საქმედ.

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა განახორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუჯობესდეს ობოლ და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა აღზრდა-სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სისტემა, კარდინალურად შეიცვალოს დამოკიდებულება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი. მკაცრი კონტროლი დაუწესდეს ბავშვთა ინტერნატ-დაწესებულებების მუშაობას, დამყარდეს ამ უბანზე წესრიგი, მიღწეულ იქნეს თვისებრივი ცვლილებანი მუშაობაში.

ამაღლდეს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების, სასწავლებლების, სწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა ობოლ ბავშვთა აღზრდისა და სწავლებისათვის, მათი სოციალური მომავლის უზრუნველყოფისათვის. არ დაუშვათ ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულება მათი ბედ-იღბლისადმი, მიგეცეთ ამ ფაქტებს პრინციპული პარტიული შეფასება.

მოწონებულია საზოგადოებრიობის წინადადება, რომ შეიქმნას საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდი — საკავშირო მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს მოქალაქეებს, შრომითი კოლექტივებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებს, შემოქმედებითი კავშირების ძალისხმევას, მოწოდებული იქნება ყოველნაირად განავითაროს ბავშვებისადმი სათუთი, მზრუნველი დამოკიდებულების ლენინური ტრადიციები. ფონდის მთავარ ამოცანებს შეადგენს: აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება ობოლ და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებსა და ზეიბარ ბავშვებს; კოორდინაცია გაუწიოს მზრუნველთა საბჭოების საქმიანობას; ამამღლოს ოჯახის როლი ბავშვების აღზრდაში, გაძლიეროს საზოგადოების ყურადღება მოზარდი თაობის აღზრდისადმი; კონტროლი დაუწესოს ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხთა კანონმდებლობის შესრულებას. გააერთიანოს სახელმწიფო, საზოგადოებრივი სახსრები და მოქალაქეთა პირადი შენატანი საბავშვო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განმტკიცების ფაქტებით შესაძლებლობების შექმნის მიზნით; აქტიურად ჩაბას მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი მოზარდთა იდეურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდაში; პროპაგანდა გაუწიოს პედაგოგიურ ცოდნას შრომელთა ფართო წრეებში. მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო აქციებში ომის, სტიქიური უბედურებების და ეპიდემიის შედეგად დაზარალებული სხვა ქვეყნების ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად; ხელი შეუწყოს მშვიდობისათვის ბრძოლაში ბავშვთა ურთიერთგაგების, მეგობრობის, ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას ყოველკვირეული „სემია“ („ოჯახი“) — საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის გამოცემა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი ოჯახის განსამტკიცებლად და მოზარდი თაობის აღზრდაში, ბავშვთა დაცვაში მისი როლის გაადვილებლად. გაღრმავდეს ოჯახის, საზოგადოებრიობის, სკოლის, შრომითი კოლექტივების თანამოქმედება, უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვებისა და მოზარდებისადმი მორალური მოთხოვნების ერთიანობა. ყოველმა შრომითმა კოლექტივმა თანამიმდევრულად განახორციელოს ოჯახის შეკვრის, სულიერი და ზნეობრივი სიჯანსაღის განმტკიცების, მშობლის მოვალეობის შესრულებისათვის თითოეული საბჭოთა ადამიანის პასუხისმგებლობის გადიდების, იმათი საზოგადოებრივი მორალური ავტორიტეტის ამაღლების გეზი, ვინც მთელ თავის უნარსა და ნიჭს აბმარს ბავშვებთან მუშაობას, არ იშურებს მათთვის დროსა და ძალებს. გააქტიურდეს წარმოებაში ოჯახისა და სკოლის ხელშეწყობი კომისიების, სკოლაში მშობელთა კომიტეტების საქმიანობა. გაჩაღდეს მოსახლეობის მასობრივი საყოველთაო სწავლება პედაგოგიკის, სოციოლოგიის, სამართლის, ფსიქოლოგიის, ოჯახის ეკონომიკის, ოჯახური ურთიერთობის, ოჯახის მიერ უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციების შესრულების საკითხებზე, რათა ოჯახი როგორც სოციალისტური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი უჯრედი აქტიურად ეწყობდეს ხელს ადამიანის პიროვნების პოტენციალის გაააქტიურებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ გააჩაღონ კომპლექსური მეცნიერული კვლევა სოციალური ოჯახის პრობლემებზე, ადამიანის ჩამოყალიბებაში, აღზრდასა და განათლებაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მისი როლის საკითხებზე.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, შეიქმნას ჭ. მოსკოვში სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნათქვამია დადგენილებაში, ობოლ ბავშვთა წარმატებით აღზრდის უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნია ბავშვთა ინტერნატ-დაწესებულებების ხელმძღვანელი, პედაგოგიური, სამედიცინო კადრებისა და მომსახურე პერსონალის შერჩევის კარდინალური გაუმჯობესება. მთავარია, ისინი გამოირჩეოდნენ გულითადობით, სათნოებით, დიდი პასუხისმგებლობით სოციალისტური საშობლოს მოქალაქეთა აღზრდის მინდობილი კეთილშობილური საქმისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა ღრმად გააანალიზონ ობოლ ბავშვთა დაწესებულებების ხელმძღვანელ, პედაგოგიურ, სამედიცინო და სხვა მუშაკთა შემადგენლობა, მოაწყონ მათი ატესტაცია.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გაუწიონ დახმარება სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს იმ მხრივ, რომ მიავლინონ ამ საბავშვო დაწესებულებებში სამუშაოდ საუკეთესო აღზრდელები, მასწავლებლები და მედიცინის მუშაკები. შეფი საწარმოებისა და დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა ბავშვთა ტექნიკური, მხატვრული შემოქმედების წრეების, სპორტული სექციების ხელმძღვანელებად და ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის უნდა მიავლინონ ყველაზე მომზადებული სპეციალისტები.

ობოლი ბავშვების ბედის, მათი აღზრდა-განათლებისათვის განუხრელი ზრუნვა უნდა იყოს ლენინური კომკავშირის, მთელი ახალგაზრდობის უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე. საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მართებს განახორციელოს ღონისძიებათა პროგრამა, რათა საწარმოების, ინსტიტუტების, დაწესებულებების, სასწავლებლების, ჯარის ნაწილების ყველა კომკავშირული ორგანიზაცია ფართოდ მონაწილეობდეს სბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, ჩვილ ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარების, მათი ცხოვრების, სწავლის, შრომის პირობების ძირეული გაუმჯობესების საქმეში. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა გახდნენ ბავშვთა კოლექტივების, თითოეული აღსაზრდელის ნამდვილი დამრიგებლები, მიიღონ კონკრეტული მონაწილეობა საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, ჩაბან აქ მუშაობაში ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, მეომარი მეცნიერული კვლევა სოციალური ოჯახის პრობლემებზე, ადამიანის ჩამოყალიბებაში, აღზრდასა და განათლებაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მისი როლის საკითხებზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კომკავშირის კომიტეტებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ცენტრალური და ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქმიანობაში, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ბავშვებისათვის ზრუნვის ლენინური ტრადიციების განვითარებას.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დაევალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რათა გაიზარდოს შშობლების პასუხისმგებლობა ოჯახში ბავშვთა აღზრდისა და შვილ-პატრონობისათვის, ყოველმხრივ იქნეს უზრუნველყოფილი ობოლი, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებისა და მეურვეობის (მზრუნველობის) ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მიეჩვიოთ შეფავათები მოქალაქეებს, რომლებიც გამოთქვამენ ასეთ ბავშვთა აღზრდის სურვილს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რჩება მიეცათ უფრო ფართოდ გააშუქონ საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატ-დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის გამოცდილება, უფრო მეტად ამხილონ ნაკლოვანებანი, გამოავლინონ მათი მიზეზები და კონკრეტული ბრალეულნი, იღვაწონ, რათა შეიქმნას ობოლი და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების მიმართ მუდმივი ყურადღებისა და ნამდვილი მზრუნველობის ვითარება.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა შემოიღოს ობოლ და უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა აღზრდა-განათლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემებისადმი მიძღვნილ გადაცემათა ციკლი, პროპაგანდა გაუწიოს შრომითი კოლექტივების ინიციატივას, რომლის მიზანია ამაღლდეს მათი როლი ამ დიდმნიშვნელოვან საერთო-სახალხო საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები განახორციელებენ გადამწყვეტ შემობრუნებას მოზარდი თაობის აღზრდის საქმიანობაში. ეს ამოცანა ეროვნული საკითხებისადმი, იხმარენ ყველა საქმირო ღონისძიებას, რათა კარდინალურად შეიცვალოს დამოკიდებულება ობოლი და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, უზრუნველყოფილ მათს ყოველმხრივ განვითარებას, საბჭოთა ადამიანის საუკეთესო მოქალაქეობრივ თვისებათა ჩამოყალიბებას.

ჟენევის შეხვედრები

ჟენევა, 7 აგვისტო. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, რომელიც აქ იმყოფება, შეხვდა ჟენევის განიარაღების კონფერენციაზე წარმოგზავნილ სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა წარმომადგენლებს — ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ელჩებს, აგრეთვე ვიეტნამის წარმომადგენელ მეთვალყურეს.

დღეს დილით მან მიიღო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხების გამო მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილი შეერთებულ ლ ი შტატების დელეგაციის მეთაური, ელჩი მ. კამპელმანი და ესაუბრა მას.

ე. ა. შევარდნაძემ პრესკონფერენცია გამართა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

* * *

გაიმართა შვეიცარიაში მოქმედი საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა აქტივის კრება, რომელზეც ე. ა. შევარდნაძემ მოხსენება გააკეთა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟენევიდან გამოემგზავრა

ჟენევა, 7 აგვისტო. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, რომელიც აქ იმყოფებოდა, დღეს მოსკოვს გამოემგზავრა.

* * *

ამავე დღეს ე. ა. შევარდნაძე ჟენევიდან მოსკოვს დაბრუნდა. აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. სლიუნკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

რუმინეთი. ბუქარესტში, „დალეხის“ დარბაზში წარმატებით გაიმართა შემოქმედებითი კავშირების წევრებისა და სამხატვრო ინსტიტუტის სტუდენტების მხატვრული ნაწარმის მეოთხე ბაზრობა. გამოფენილი იყო სურათები, ჭანდაკებანი, ჭალის სხვადასხვა სამკაული, ტყავისა და მინის ნაწარმი. ბაზრობის მუშაობის დღეებში მოეწყო ახალი მოდების ტანსაცმლის გახანგრძლივებული ჩვენება.

ფოტო: „ეროვნული ფოტოგრამა“

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა „პრავდის“ მასალების შენარჩევის პირველი ნომერი

ნიუ-იორკი. ამ ჟურნალის წიგნი გარეკანი სადად გამოიყურება ნაირფერად აჭრელებულ ამერიკულ ილუსტრირებულ პერიოდულ გამოცემებს შორის. მაგრამ თვალსაჩინო წარწერა ინგლისურ ენაზე — „პრავდა“ — მყისვე იპყრობს ყურადღებას. შეერთებული შტატებისა და კანადის გაზეთის კიოსკებმა უკვე მიიღეს პირველი ნომერი ყოველთვიურისა, რომელიც წარმოადგენს გაზეთ „პრავდის“ მასალების შენარჩევს ინგლისურ ენაზე.

როგორც გამომცემელთა მოკლე მიმართვაშია ნათქვამი, მათი მთავარი მიზანია გააცნონ ჩრდილოეთამერიკელ მკითხველს საბჭოთა კავშირის ცხოვრება, უჩვენონ საბჭოთა ადამიანების მსოფლმხედველობა. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ამ გამოცემის გამორჩეხა თვალსაჩინო მოვლენად მიიჩნია და წინასწარ აცნობა მკითხველებს, ამასთან აღნიშნა, რომ „პრავდის“ მასალების ასეთმა შენარჩევებმა უკვე მოიპოვა პოპულარობა 25 ქვეყანაში.

ამერიკელები უდიდეს ინტერესს იჩენენ მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, რომლებიც სსრ კავშირში მიმდინარეობს. ახლა მათ შეუძლიათ „პირველწყაროდან“ გაეცნონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას. საბჭოთა კავშირის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის წმყვან საშუალებათა ცნობები ხომ კვლავინდებურად სცოდავენ უკიდურესი ტენდენციურობით. შენარჩევის პირველ ჩრდილოამერიკულ ჟამოცემაში 44 გვერდზეა განლაგებული ჟანრისა და თემატიკის მიხედვით განსხვავებული მასალები. ეს არის სტატიები, რომლებიც ეძღვნება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებსა და სსრ კავშირის კოსმოსური პროგრამის მიღწევებს, ცმბრირის ათვისების ისტორიას, როსტოვის მილიციის მუშაობას, მოსკოვის საგზაო მოძრაობის პრობლემებს. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მასალებს, რომლებიც აშუქებს საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს — სიტუაციის გამწვავებას სპარსეთის ყურეში, „ირან-კონტრასის“ პოლიტიკურ სკანდალს, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის არჩევნებს, ავღანელი ხალხის ძნელ ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ამ ნომრის შემდგენელნი დაინტერესა აგრეთვე „პრავდაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ ამერიკის კინემატოგრაფში ომის პრობლემის შესახებ.

„ჟურნალი სწრაფად იყიდება, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს „ეხ-ამერიკენის“ კომპანიის შტაბ-ბინის შენობაში მდებარე კიოსკის გამყიდველმა. — ხალხი დიდ ინტერესს იჩენს მიღსდამი. ჩვენ თითქმის მოლიანად გავყიდეთ, რაც გვქონდა. ამიერიდან „პრავდის“ მასალების შენარჩევი რეგულარულად იქნება ხოლმე ჩვენს დახლზე“.

ფოტოინფორმაცია

ავარია კოსმოსურ ცენტრში

ნიუ-იორკი. ამერიკის ლონდონ ჯონსონის სახელობის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში წყალსადენი სისტემის ავარია მოხდა. ათასობით ლიტრმა წყალმა დატბორა შენობა, სადაც დადგმულია ძირითადი კომპიუტერები, რომელთაგან ბევრი მწყობრიდან გამოვიდა.

კოსმოსური ცენტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, მისი აზრით, ამ ავარიამ გავლენა არ უნდა მოახდინოს 1988 წლის ივნისისთვის დასახულ მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის გაშვებაზე. მაგრამ ამის მტკიცება დარწმუნებით არ შეიძლება, რადგან შენობის პირველი სართული, სადაც დადგმულია გამომთვლელი მანქანები და კომპიუტერები, რომლებიც თვალს ადევნებენ კოსმოსური ხომალდების გაშვებას, პრაქტიკულად მთლიანად წყლით დატბორილი აღმოჩნდა.

პროგრამა „სპეის-შატლის“ მიხედვით გათვალისწინებული მომავალი გაფრენა პირველი იქნება მას შემდეგ, რაც 1986 წლის 28 იანვარს დაიღუპა კოსმოსური ხომალდი „ჩელენჯერი“ შვიდი კოსმონავტითურთ, რომელიც ჰაერში აფეთქდა აფრენისთანავე.

უზრუნველყოთ ყოველმხრივი დაჩქარება

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების მატების ტემპი სამხრეთ ოსეთში მიმდინარეობუთწლედის დამდეგიდან ორჯერ და მეტად დაჩქარდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება. ეს ახრი წითელ ზოლად გასდევდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის მთელ მომდინარეობას, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის ავტონომიური ოლქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ფ. ს. საკაოევის მოხსენებაში, ორატორთა გამოსვლებში ნაზგასმით აღინიშნა, რომ დასახული ამოცანების განხორციელებას დღეს კარგი საფუძველი აქვს.

ოლქის საწარმოთა თანამიმდევრული ტექნიკური განახლება, სადაც ფართოდ ინერგება პროგრესული ტექნოლოგიები, საშუალებას იძლევა განხორციელდეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის გამოზნული კონკრეტული ღონისძიებანი. საწარმოო სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების გამოყენებას აუმჯობესებს სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითნაზღაურებაზე კოლექტივების გადაყვანა. მტკიცდება დისციპლინა და ორგანიზებულობა. ყურადღებას ცენტრში აქტუალური სოციალური საკითხების გადაწყვეტა, ადამიანების შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას დემოკრატიზმის გაღრმავება-გაფართოება, სახალხო მეურნეობის მართვაში მშრომელთა აქტიური ჩაბმა. ყოველივე ეს დადებით გავლენას ახდენს დარგის ეკონომიკაზე.

მიღებულ დადგენილებაში პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა დაჩქარონ ეკონომიკური რეფორმა წარმოების ინტენსიფიკაციის, მართვის ახალი მეთოდების ფართოდ დანერგვის, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების საფუძველზე. დასახულია ამოცანა, ყოველმხრივ დაიჩქარონ გარდაქმნის ტემპი ცხოვრების ყველა სფეროში, განამტკიცონ გარდაქმნის დადებითი შედეგები, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, დაამკვიდრონ შემოქმედებისა და გერგილიანობის სულისკვეთება, განსაკუთრებით აღინიშნა, რომ მთელ მუშაობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ როგორ იმსჯელებენ ადამიანები ცვლილებების შესახებ, უწინარეს ყოვლისა იმის მიხედვით, როგორ მიმდინარეობს განახლების პროცესი იმ სფეროებში, რომლებიც ეხება მათს ყოველდღიურ საარსებო საჭიროებებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ე. ა. ალდანოვი.

ყურადღება, სიახლე!

სხვისი მოიმედეობის წინააღმდეგ

საჭირო თუ არა რესპუბლიკის დოტაციის ფონდში ანარიცხები არარენტაბელურ მეურნეობათა ზარალის დასაფარავად? ეს შეკითხვა სულაც არ არის რიტორიკული, მიიჩნია გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. მღებრიშვილს.

ი ი კონკრეტული გაანგარიშებანი: ყოველწლიურად კოლმეურნეობა დოტაციის სახით გაიყოფს 200 ათას მანეთზე მეტს, ხოლო რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში დაახლოებით 170 ათას მანეთს. დროა ბოლო მოვუღოთ სხვისი მოიმედეობის მაბკიერ პრაქტიკას, მიიჩნიათ კოლმეურნეობაში.

რაიონის ოცი მეურნეობიდან მხოლოდ ოთხია რენტაბელური. დანარჩენები კი, როგორც იტყვიან, სხვისი ხელის შემყურნი არიან. ავიღოთ თუნდაც სოფელ შაშიანის კოლმეურნეობა, რომელმაც უკანასკნელ ხანს მატერიალური დახმარების სახით დოტაციის ფონდიდან დაახლოებით ხუთი მილიონი მანეთი მიიღო. საკითხავია, რა ხეირია ასეთი მეურნეობისაგან, რომელსაც მხოლოდ ზარალი მოაქვს?

მაგრამ არა, მისი უსუსურობის აშკარა და გულახდილი აღიარების ნაცვლად ყველა პირობას ქმნიან, რომ არხეინად იცხოვრონ სხვისი ხელის შემყურეებმა იმათ ხარჯზე, ვინც კარგად ართმევს თავს საქმეს, შეუძლია და უყვარს მუშაობა. არადა, გადარიცხული სახსრების ნაწილი იმავე სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობას ხომ შეეძლო გამოეყენებინა, ეთქვათ, სადგურისპირა გზების გასაყვანად, სპორტული მოედნების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ასაშენებლად.

— სამეურნეო ანგარიშსა და ნორმატიულ დაგეგმვაზე გადასვლით, განმარტეს შექმნილი პრაქტიკა აგროსამრეწველო გაერთიანებათა მთავარ სამმართველოში, დოტაციისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ცენტრალიზებულ ფონდებში გადარიცხული ფული ზუსტად იქნება შეწონასწორებული თითოეულის კონკრეტული შრომითი წვლილის მიხედვით. როგორ მოვეკიდოთ ასეთ შემთხვევაში არარენტაბელურ მეურნეობებს? ჩვენ გადავწყვეტეთ დავადგეთ აგროფირმების შექმნის გზას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი. ეკონომიკურად ძლიერ მეურნეობებთან ერთად იქ გაერთიანდება ისეთი მეურნეობებიც, რომლებიც ჯერჯერობით ჩამორჩებიან. და ძალაუნებურად მოუწევთ მათ მუშაობის სტილისა და სხვისი მოიმედეობის ფილოსოფიის შეცვლა.

ვის ჩავაბაროთ ქალაქის ბაღის ბარაქა?

გასაცდენი თუ არა საქართველოს დედაქალაქის ავჭალის გზატკეცილს, თბილისის ელექტროვაგონსაშენებელი ქარხნის მუშათა აყვავებულ ბაღ-ბოსტნებში მოხდებინა. აქ ხალხმრავლობაა: მოსავალს იღებენ!

— ჩინებული ლეღვი მოვიწივე წელს. თითო ცალი ლამის ას გრამს იწონის, — თქვა წარჩინებულმა მეკედლემ, სოციალისტური შრომის გმირმა კ. ილურიძემ. — აი, უკვე ხუთი ვედრო ავავსე, ხეს კი თითქოს არც მოაკლებია. მთელი ოჯახი მეხმარება — შეუღლე, ქალიშვილები, ვეფიშვილები. ბაღ-ბოსტნის მოსავალი მყოფნის ოჯახში, საყიდელი აღარაფერი მრჩება.

თვალს ახარებს კ. ილურიძის ბაღი. ეკრძნობა მეურნის მზრუნველი ხელი. სხვადასხვა ჯიშის ვაშლის, მსხლის, ატმის, ყურძნის კრეფა გვიან შემოდგომამდე არ წყდება. კონსტანტინე ილურიძე სელექციასაც ეწევა. ამბობენ: გამოჰყავს ახალი ჯიშის გარგარი. ამხანაგები ხუმრობენ: ილურიძე მარტო ქარხანაში კი არა, ბოსტანშიც დამრიგებელიაო. მართლაც, წარჩინებულ მეკედლეთან, რომელმაც არაერთგზის გაიმარჯვა კონკურსში „ვისი ბაღი სჯობს?“ ხშირად მიდიან ქარხნის მუშები, დამწყები მებაღეები.

— რას ვიფიქრებდი, რომ უხვი მოსავალი სადარდებელს გამიჩენდა, — დაიჩივლა კ. ილურიძემ. — არ ვიცი, რა ვუყო ამდენ ხილს. ჩვენ ქარხანაში სამასზე მეტ კაცს აქვს ბაღ-ბოსტანი. ყველას უყვარს მიწა და უვლის. კარგი მოსავალი ყველა ჩვენი შუქის ღირსების საქმეა, მაგრამ როგორ გავუზიაროთ იგი თბილისელებს?

— კარგი იქნებოდა, აქვე გაეხსნათ მაღაზიები, — ჩაება საუბარში ზეინკალი ვ. ბეჟუაშვილი, — აი, მაგალითად, ნახევარი ტონა ვაშლი მოვკიფე, მაგრამ სად წავიღო, არ ვიცი.

ოთხმოცი წლის პენსიონერს შ. ხიზანიშვილს ქარხნის ბიუები დაეხმარნენ გარგარისა და ქლიავის კრეფაში.

— საკარმიდამო მეურნეობებისათვის ჩვენთან უკვე ბევრი რამ გააკეთეს, — თქვა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა რ. სანიკიძემ. — ყოველ ნაკვეთთან უკვე მიყვანილია წყალი და ელექტრობა. გვაქვს მოასფალტებული მარაგზა, ტრამვაის ხაზიც კია, რომელიც ჩვენს ნაკვეთებს ქარხანასთან აკავშირებს, მაგრამ მაღაზიის საქმე ჯერჯერობით ვერ მოგვარდა. მებაღეობისა და მებოსტნეობის რესპუბლიკურ საკორდინაციო საბჭოს ვთხოვეთ დაგვეხმარებოდა, რჩევა მოეცა, თუ სად და როგორ ფასად ჩაგვებარებინა ხილი, გვეშოვა ტრანსპორტი. მაგრამ პასუხი ჯერ არ მოგვიღია. მოსავალი კი არ იცდის. უფრო მალე უნდა გადაწყდეს, თუ როგორ მივაწოდოთ თბილისელებს ქალაქის ბაღების ბარაქა.

(საქინფორმი).

ჟენევის ექსპერიმენტი

ჟენევიდან ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული და ავტორიტეტული გენერალი დღეს უმუშევარია, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ დახმარებისათვის არ მიმართავს ფედერალურ უწყებას. ბერნარდ როჯერს, ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების გუშინდელ მთავარსარდალს, შეუძლია იჭირვეულოს და შემოთავაზებულ თანამდებობებში უფრო პრესტიჟულსა და სარფიანს დაელოდოს. მისაბაძი მაგალითი ხომ აქვს — მისი წინამორბედი ჰეიგი სახელმწიფო მდივნობას არ დასჯერდა და პრეზიდენტის ოვალური კაბინეტის „შტურმისათვის“ ემზადება.

მართალია, ეჭვმთავარსარდალმა განაწყენებულმა დატოვა ევერი (იგი ვადაზე ერთი წლით ადრე გადადგა საშუალო რადიუსის რაკეტების შემცირების იდეის პროტესტის ნიშნად), მაგრამ, როგორც ყოველსმცოდნე ამერიკელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, გადამდგარი გენერალი კვლავ რჩება პრეზიდენტის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირად და ერთ-ერთ მთავარ მრჩევლად სამხედრო საკითხებში.

რაც შეეხება ახალ მთავარსარდალს, 58 წლის ამერიკელ გენერალ ჯონ გელვინს უკიდურესი ანტიკომუნისტის რეპუტაცია აქვს (აბა, ლიბერალს ვინ დანიშნავდა ასეთ თანამდებობაზე?) და პრეზიდენტის კურსის ცნობილი მომხრეა. ეს მან უკვე დაამტკიცა წინა თანამდებობაზე ყოფნისას, როდესაც ხელმძღვანელობდა პენტაგონის სამხრეთ სარდლობას, რომლის შტაბ-ბინა პანამაშია. გელვინი სისტემატურად მოითხოვდა, რომ მეტი დახმარება აღმოეჩინათ ნიკარაგუელი „კონტრასებისათვის“ და საერთოდ, მისი ღრმა რწმენით, პენტაგონმა „აცილებით მეტად უნდა იაქტიუროს ამ რეგიონში.

გელვინმა კარგად იცის გერმანული და ესპანური ენები, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, იგი ხშირი შეხვედრებითა და საუბრებით არ გაანებივრებს ევროპელ ჟურნალისტებს, მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, მას არ უყვარს ზედმეტი აურზაური და პოლიტიკური ჯამოსვ

საუკეთესო სტუდენტები გახდებიან

სოხუმი. ცოდნის შეფასების უტყუარობასა და მუკერძოებლობას აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ საკონკურსო გამოცდებზე უზრუნველყოფს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული აბიტურიენტთა წერილობითი ნაშრომების ხელახალი შემოწმების სისტემა.

გადამმოწმებელი კომისიის საქმიანობა, როგორც გამოცდების პირველმა დღემ ცხადყო, კიდევ უფრო ამკაცრებს წერილობითი გამოცდების მიმდინარეობის კონტროლს, სპობს პროტექციონიზმის გამოვლინების შესაძლებლობას. ეს მით უფრო ეფექტიანია, რომ გამოცდები აქ ძირითადად, წერილობით ეწყობა.

აბიტურიენტებს მოსწონთ სიახლე — წლეულს ხომ კონკურსი ძალზე დიდია. უნივერსიტეტის ექვს ფაკულტეტზე 19 სპეციალობით სულ 620 კაცი ჩაირიცხება. მათგან 455-ს დღის განყოფილებაზე მიიღებენ, ხოლო 165-ს — საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

ბათუმი. სრული საჯაროობის ვითარებაში მიმდინარეობდა პირველი გამოცდები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გამოცდებზე მიწვეული იყვნენ მშობლები და პირველად — უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც.

— ეს ხელს შეუწყობს აბიტურიენტთა ცოდნის უფრო მკაცრ კონტროლირებასა და ობიექტურ შეფასებას, — თქვა მიმღები კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. დავითაძემ. — ფიზიკური აღზრდის სპეციალობის გამოცდები კი ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა, სადაც აბიტურიენტები მრავალრიცხოვანი „ქომაგების“ თანდასწრებით აბარებდნენ სირბილის, ბირთვის კვრის, სიგრძეზე ხტომის ნორმატივებს.

მიღების შეზღუდვის გამო კონკურსი წლეულს ძალიან დიდია. მაგალითად, იგივე „ფიზიკური აღზრდის“ სპეციალობაზე 109 კაცი აბარებს, ადგილი კი 21-ია. „რუსული ენისა და ლიტერატურის“ სპეციალობის (დაუსწრებელი განყოფილება) 25 ადგილზე 116 აბიტურიენტი მოდის.

ცხინვალი. 980 განცხადება შევიდა სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გასულ წლებში დაახლოებით ამდენივე პრეტენდენტი იყო ხოლმე, მაგრამ წლეულს უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ 240 კაცს მიიღებენ — 145-ით ნაკლებს, ვიდრე შარშან. ოლქში მასწავლებელთა აშკარა სიჭარბე შეიმჩნევა.

ზეპირ გამოცდებს პირველად ესწრებოდა ერთდროულად ყველა აბიტურიენტი, და, სუფევილისამები, მათი მშობლები.

ჭუთაისი. სულ ახლახან ელზა გედენიძესა და ელენე ჩაჩუას მეგობრები და ახლობლები საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის წარმატებით დამთავრებას ულოცავდნენ. გუშინ კი ქალიშვილები კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცნენ. მიიღეს რა პირველ გამოცდაზე — მათემატიკაში — უმაღლესი შეფასება, ისინი, როგორც ფრიადოსნის ატესტატის მფლობელნი, ჭუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ.

— წლეულს, — თქვა ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ნ. ვალიშვილმა, — 1125 კაცი უნდა მივიღოთ, სტუდენტის წოდების მოპოვებას კი 2800 ქალიშვილი და ჭაბუკი ცდილობს. ეს ნიშნავს, რომ ინსტიტუტში საუკეთესოთაგან საუკეთესონი მოხვდებიან. სასიხარულოა, რომ წლევანდელი კონტინგენტი კარგად არის ჩომზადებული.

(საქინფორმი).

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის აბიტურიენტები წერით გამოცდას აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ვ. გენგიურის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ უბილავა

ჩანაწერები საზღვარგარეთული რეპულიდან

საგას მოლანდება ვერსალში

ეს ეც ვერსალი! — საფრანგეთის მეფეთა ადგილსამყოფელი. ჩემს წინაა გრანდიოზულ სასახლეთა მთელი კომპლექსი დამშვენებული საქვეყნოდ სახელგანთქმულ ხუროთმოძღვართა, არქიტექტორთა, მოქანდაკეთა და მხატვართა უნიკალური ქმნილებებით. ირგვლივ მოჯარულან პარკები, ხელოვნური ტბები, შადრევნები...

ვერსალის სწორუპოვარ სასახლეში შემოსვლისთანავე ამიტანა სურვილმა მიახლოებით მაინც აღმედგინა ლუი მეთოთხმეტისა და საქართველოს ელჩის სულხან-საბა ორბელიანის შეხვედრის სცენა იმ შორეულ წარსულში — მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს.

ამ სასახლეში შემოსვლის შემდეგ ჩემმა მეგზურმა რამდენჯერ აუგად მოიხსენია ლუი მეთოთხმეტე. „მის დროს საფრანგეთში აბსოლუტიზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია“, „სახელგანთქმული შე ვარო“, — უთქვამს თურმე განდიდების მანიით შეპყრობილ მეფეს, რომელსაც „თავისი ქვეყანა გამოუფიტავს ომებით და მფლანგველობით“.

სწორედ ამ მეფეს უნდა შეხვედროდა საქართველოდან საგანგებო მისიით ჩასული სულხან-საბა ორბელიანი. მიზანი პარიზში საბას ჩასვლისა, რთულზე რთული იყო. მაჰმადის სარწმუნოების უარყოფისათვის სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფეს ვახტანგ მეექვსეს ისპაჰანში ტყვეობა მიუსაჯა, ხოლო ქართლში დროებით გაუბატონა ვახტანგის გამაჰმადიანებელი ძმა ისე.

საქრისტიანო საქართველოს ინტერესები მოითხოვდა დახმარებისათვის მიემართათ დასავლეთ ევროპის რომელიმე ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოსთვის. არჩევანი საფრანგეთზე შეჩერებულა.

ვინ უნდა გაეგზავნა ვახტანგ მეფეს საფრანგეთში, თუ არა ისეთი ბრძენკაცი და სამიდო პირი, როგორიც იყო მისი მკვიდრი ბიძა სულხან-საბა ორბელიანი?

აი, ის სარკეებიანი დარბაზი, სასახლის მეორე სართულზე, სადაც ლუი მეთოთხმეტეს მიუღია საქართველოს ელჩი.

დარბაზის ჟალუზებიანი მაღალი ფანჯრები ვერსალის ბაღს გადაჰყურებს. ფანჯრებიდან ჩანს შადრევნები, თავდაყმართზე კი დიდი პარკის ტერასები და შორიახლო ტყიანი ბორცვები.

წარმოდგენებს შორეულ წარსულში გადავყავართ; დარბაზში ყარისაკის თანხლებით შემოდის მაღალი, ახოვანი, თეთრი წვერულვაშებიანი კაცი, რომელსაც მონაზონის შავი მანტია ეფუსნამს. ეს გახლავთ საქართველოს ელჩი, ბასილის მონაზონი, სამოცდაორი წლის დიპლომატი, გამოჩენილი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი. მას შორიახლო უკან მიჰყვება ფრანგი მისიონერი, მოვდელი ჟან რიშარი, საბას თარჯიმანი.

საბა თავაზიანად ესალმება მაღალ სავარძელში მჯდომ ხანდაზულ მეფეს, პარიკის კულულები ჯიღასავით რომ დადგომია თავზე. მეფე ღირსეულად ღებულობს ქართველ სტუმარს და ბრგეალი მაგიდის ახლოს რბილ სავარძელზე უთითებს. მის გვერდით ჯდება თარჯიმანი ჟან რიშარი.

მეფეს მხარმარჯვნივ უზის საფრანგეთის ფაქტიური გამგებელი კარდინალი ჯულიო მაზარინი, მხარმარცხნივ კი უფროსი კანცლერი პონჩარტრენი. მოშორებით დგანან მეფის კარის წარჩინებული პირები.

— საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია, საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია, — დინჯად, მაგრამ შინაგანი მღელვარებით იწყებს ფეზზე მდგომი ქართველი ელჩი თავის საკმაოდ გრძელ აღსარებას.

საბა არწმუნებს საფრანგეთის მბრძანებელს, რომ თუ ეღირსა ვახტანგს საქართველოში დაბრუნება, ქართველები არამარტო ქრისტიანებად დარჩებიან, კიდეც შეუერთდებიან კათოლიკურ ეკლესიას, კათოლიკებად მოიქცევიან და დიდ დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოში მყოფ ფრანგ მისიონერებს, რათა ეს სარწმუნოება „გაჰფინონ მთელს ქვეყანაზე“. საბა უმორჩილესად თხოვს საფრანგეთის მეფეთ-მეფეს გაუგზავნოს სპარსეთის „ყეენს ერთი თავისი საიმედო პირი და მასვე გაატანოს საჰირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეიძლოს სპარსეთის მოწინავე პირთა გულის მოგება“. საბამ „სპარსელთა გულის მოსაგებად“ სამასი ათასი ეკიუ დაასახელა.

საფრანგეთის იმპერატორმა ყურადღებით მოისმინა საქართველოს ელჩის, ესოდენ სათნო სასულიერო პირის სულხან-საბა ორბელიანის ვედრება-აღსარება და დახმარება აღუთქვა. უფროს კანცლერს პონ შარტრენს კი დაავალა კარგად შეესწავლა საქართველო-სპარსეთის ურთიერთობის საკითხები და ახლო ხანში საბოლოო გადაწყვეტილება მიეღოთ.

საბოლოოდ დათქვეს: საქართველოს ელჩი ლუი მეთოთხმეტის პასუხს დალოდებოდა ქალაქ კონსტანტინოპოლის საფრანგეთის საელჩოში.

საბა კონსტანტინოპოლში ჩავიდა რომის გავლით. კონსტანტინოპოლში ხანგრძლივი ამაო ლოდინით გულგაწყალებულმა საბამ რამდენიმეჯერ წერილობით შეახსენა თავისი თავი ლუი მეთოთხმეტის კანცლერს პარიზში, მაგრამ პასუხი არ ჩანდა.

საქართველოდან კი სამწუხარო ამბები მოსდიოდა იმედგაცრუებულ ელჩს; „ქართველები შუა გაყოფილან“. ზოგი იასეს მხარეზე დამდგარა, ზოგიც ვახტანგის ძე ბაქართან მისულა. საფრანგეთიდან კი პასუხი არსად ჩანდა. მოგვიანებით ლუი მეთოთხმეტის პასუხის ნაცვლად მოვიდა მისი გარდაცვალების ამბავი.

ლოდინით გაბეზრებულმა და საფრანგეთის იმპერატორის გარდაცვალებით შეწუხებულმა საბამ დატოვა კონსტანტინოპოლი და საქართველოში გამოემგზავრა. სამშობლოს მოახლოებულს გონოოს ბეგმა ყველაფერი წაართვა, რაც ებადა, მათ შორის რომის პაპის ნაჩუქარი ძელი ჭეშმარიტი, აქადის მოოქრული კრიალოსანი, წმინდანთა ნაწლავებიანი ოქროს ხატი და იანიჩრის აცემინა ისედაც გაწამებული სნეული მოხუცი.

სინანულით მაგონდებოდა ვერსალის სასახლეში სულხან-საბა ორბელიანის ეს სევდის მომგვრელი თავგადასავალი და დიდხანს ვიმყოფებოდი ჩემი შორეული წინაპრის ანრდილის ტყვეობაში.

ლევილის გინადარნი

ლევილი მშვენიერი ფრანგული სოფელია, ხეხილიანი და ბალ-ვენახოვანი; პარიზიდან სულ ოცდაათი კილომეტრითაა იგი დაშორებული. ამ სამოცდაზუთოდე წლის წინათ ლევილში გაჩნდა ქართველ ემიგრანტთა ახალშენი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უცხოეთში ლტოლვილმა მეფშევიკურმა მთავრობამ პარიზში ჰპოვა თავშესაფარი.

საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა არისტიდ ბრიანმა ქართველ ემიგრანტებს საცხოვრებლად გამოუყო ლევილში ერთი პატარა მამული, სადაც გზის პირას იდგა ყაზარმის ტიპის ორსართულიანი თეთრი შენობა, ეგრეთ წოდებული „შატო-სახლი“.

ეს მიწა-მამული ერთ დროს პარიზის არისტოკრატიის სანადირო ადგილი ყოფილა, ხოლო „შატო-სახლი“ — მონადირეთა თავშესაფარი და ღამის გასათევი. ამ სახლის პირველ სართულს საკინიბოდაც იყენებდნენ. აი, როგორი „სასახლე“ გაუმტეხია საფრანგეთის მაშინდელ ხელისუფალთ საქართველოდან ლტოლვილი მეწშევიკური მთავრობისათვის.

გვიანია მოვინახულე ლევილი, როცა საქართველოს ყოფილი მთავრობის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან არავინ იყო ცოცხალი.

სამშობლოდან დაშორებით, უცხეთის შორეული ცისკვეშ, ლევილის ქართველთა სასაფლაოში განისვენებს ნეშტი ადამიანთა — რევოლუციის ქარტეხილებმა რომ გადაისროლეს კავკასიიდან ევროპაში. მათ მხარი ჩემს ირგვლივ თავი მოიყარა ქართველობამ, მათ შორის ბევრი იყო მოხუცი, დავრდომილი, უთვისტომო, ისინი დაზაფრულნი, ნოსტალგიით, უსახსრობით და რაც მთავარია, უიმედობით, თვალცრემლიანნი მესაილმებოდნენ, უღონო ხელებს მართმევდნენ და შობლიური ქვეყნის მუჭა მიწას მთხოვდნენ, რაც სამწუხაროდ, მე არ აღმომაჩნდა. ისინი გაწბილებულნი და იმედგაცრუებულნი წარამარა გაიძახოდნენ — ჩვენ არ ღირსვართ შობლიური მამულ-დედულის მიწისა, რაკი ადგილის დედა გავწირეთ და გზა-კვალახეულნი უცხოეთში გადმოვიხვეწეთო.

ეს იყო სამშობლოდან გადახვეწილ და გულში დაჭრილ ადამიანთა მოთქმა-გოდება. მოგვრიდა კი შვებას — დაჭრილ გულს ერთი მუჭა მიწა, თუნდაც ქართული? თავად გასაჯეთ.

ქორწილი შატო-სახლში

ლევილის შატო-სახლის მეორე სართულზე ოროთახიან ბინაში მეოთხედი საუკუნე გაუხარელი ცხოვრებით, მაგრამ შობლიურ საქართველოში აუცილებელი დაბრუნების ფიქრით და იმედით იცხოვრა დიდმა მეცნიერულ მუშაობას გამომცემლობებში „საბჭოთა საქართველოში“, „ნაკადულში“, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“, ჟურნალ „დროშაში“. იყო ალმანახ „საყმაწვილო ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალას მოწინავე გლეხთა ოჯახმა — მიხა და ანეტა უბილავებმა სამშობლოს რვა ქალ-ვაჟი აღუზარდეს, რომელთაგან ერთმა — პოეტმა და მეომარმა ვლადიმერმა თავისსავე სოფელში ძეგლი აიგო; სამწერლო ასპარეზზე იღვწის დიდი სამამულო ომის ფრონტიდან შინმოუსვლელის უმცროსი ძმა — ჩვენი ელიზბარ უბილავა. პირველს არ დასცალდა საკუთარი ოჯახის შექმნა, მეორემ კი თავის პედაგოგ მეუღლესთან ერთად მშობლებს ღირსეულად გადაუხადეს ვალი — ქვეყანას ოთხი შვილი აღუზარდეს: მეცნიერი მედიკოსი, მეცნიერი ფილოლოგი, ჟურნალისტი და ცნობილი მოჭადრაკე (განათლებით აგრეთვე ჟურნალისტი) — საერთაშორისო ოსტატი.

მწერლის თანამოკალმეებთან ერთად „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი ულოცავს ელიზბარ უბილავას საიუბილეო დღეობას და კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით მოღვაწეობას უსურვებს.

ვლადიმერ თორდუა.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და დამადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ელიზბარ მიხეილის ძე **უბილავა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

სიტყვა მეგობარ თანამოკალმეზე

ცნობილ ქართველ მწერალს ელიზბარ უბილავას დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

1934 წლიდან, როცა „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „ზამთარი“, დღემდე, როცა მკითხველმა რევოლუციისათვის თავდადებული 26 კომისრისადმი მადლიერების გრძნობით მიიღო მათი ბრძოლისა და ტრაგედიის ამსახველი რომანი „ცხელი ნაპირი“, ელიზბარ უბილავას კალამს არ შეუსვენებია. ამას მეტყველებს აღნიშნულ ორ პუბლიკაციას შორის მწერლის ნაამაგარ პროზაულ ნაწარმოებთა წიგნები: „ანაკლიის ღამე“, „მშვიდობით, მთებო კავკასიისა“, „დიდ გზაზე“, „გამარჯვების დროშა“, „ყავარჯენი“, „განძეულის გუშაგი“ და სხვა, ქართველი მკითხველის მოწონებით რომ სარგებლობს, მრავალი პუბლიცისტური წერილი, ლ. ტოლსტოის „კავკასიური მოთხრობების“, ა. ბესტუჟევ-მარლინსკის „ამალათ-ბეგის“ და „მოლა ნურის“, ა. აჯამატოვის „უმუხის ტრამალებზე“ თარგმანები.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი მოხარულია, რომ ელიზბარ უბილავა სწორედ ამ ოჯახიდან არის გასული სამწერლო ასპარეზზე — ჩვენი გაზეთის რედაქციაში ხანგრძლივი ღვაწლიც მიეთვალა მას საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მიღებაში. იგი წლების მანძილზე ეწეოდა რედაქტორულ მუშაობას გამომცემლობებში „საბჭოთა საქართველოში“, „ნაკადულში“, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“, ჟურნალ „დროშაში“. იყო ალმანახ „საყმაწვილო ლიტერატურის“ მთავარი რედაქტორი.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალას მოწინავე გლეხთა ოჯახმა — მიხა და ანეტა უბილავებმა სამშობლოს რვა ქალ-ვაჟი აღუზარდეს, რომელთაგან ერთმა — პოეტმა და მეომარმა ვლადიმერმა თავისსავე სოფელში ძეგლი აიგო; სამწერლო ასპარეზზე იღვწის დიდი სამამულო ომის ფრონტიდან შინმოუსვლელის უმცროსი ძმა — ჩვენი ელიზბარ უბილავა. პირველს არ დასცალდა საკუთარი ოჯახის შექმნა, მეორემ კი თავის პედაგოგ მეუღლესთან ერთად მშობლებს ღირსეულად გადაუხადეს ვალი — ქვეყანას ოთხი შვილი აღუზარდეს: მეცნიერი მედიკოსი, მეცნიერი ფილოლოგი, ჟურნალისტი და ცნობილი მოჭადრაკე (განათლებით აგრეთვე ჟურნალისტი) — საერთაშორისო ოსტატი.

მწერლის თანამოკალმეებთან ერთად „კომუნისტის“ რედაქციის კოლექტივი ულოცავს ელიზბარ უბილავას საიუბილეო დღეობას და კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით მოღვაწეობას უსურვებს.

ვლადიმერ თორდუა.



მოსკოვი

9 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 10.15 — სპორტლოტო. 10.30 — მაგიდარა. 11.00 — ვემსაურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — მულტფილმი. 16.00 — „ქალაქელები“. ხელოვნებით გატაცების შესახებ. 16.30 — მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“. 18.00 — ცეკვავს მალაგასია სარუკაი (ინდოეთი). 18.20 — სამი ნოველა ალექსანდრე ფადეევზე. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მულტფილმი. 19.55 — ჟურავლი ბ. ფეოქტისტოვი (ბალალაიკა). 20.45 — მხატვრული ფილმი „მთავარი დაწყებაა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნა: ამბები. 23.10 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.55 — ედინბურგის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის გახსნა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები მშენებლის დღისათვის. 10.05 — მულტფილმი. 10.15 — გუჯარათული მწყემსური რიტმები (ინდოეთი). 10.45 — რუსული მეტყველება. 11.15 — დ. შოსტაკოვიჩი. მეშვიდე სიმფონია. 12.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „სოფლის სკოლის ტრადიციები“. 12.30 — მხატვრული ტელეფილმი „ზღურბლზე“. I და II სერია. 14.45 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 15.20 — რეკლამა. 15.25 — „ცისარტველა“. ბოლივიური ფოლკლორული ბალეტი. 15.55 — მეცნიერთა სამყარო. 16.55 — ლიტერატურა და თეატრი. 18.15 — შ. სალიხოვი. „განაჩენი“. ფილმ-სპექტაკლი. 20.15 — ცნობისმოყვარეთა. 21.00 — „ძალი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფორმულა I“ კლასი. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — უცხოური ფილმის ეკრანი. „ჰარმონია“ (უნგრეთი). 23.40 — ნიდერლანდის ესტრადის მსახიობთა კონცერტი. 23.55 — დოკუმენტური ტელეფილმი.

ბიჭიტი

9 აგვისტო

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. დილის საინფორმაციო-მუსიკალური გადაცემა (მ.). 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — „დილა მშვიდობისა“! — საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — ელიზბარ ღომდარიძის № 1 სიმფონია. 11.55 — კინოფიშა. 12.20 — საკვირაო გამოფენა. ე. დონეოვა. 12.25 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო სატელევიზიო ფესტივალი. 12.40 — შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 13.20 — მოსწავლეთათვის. „ანძაზე ალამი ფრიალებს“. 13.45 — სპორტული პროგრამა. 14.05 — მეცნიერთა სატელევიზიო კლუბი. 15.15 — ვესტნიკი. 15.45 — საკვირაო გამოფენა. ე. დონეოვა. 15.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.00 — „ქალაქელები“. ხელოვნებით გატაცებულნი. გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის (მ.). 16.30 — სპორტული პროგრამა. 17.10 — საკვირაო გამოფენა. ე. დონეოვა. 17.20 — გარდაქმნის კურსით. „ჩვენი სოფელი“ (მეცხოველეობა). 18.20 — კონცერტი. ო. გორდელის ნაწარმოებები. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“ (სტუდენტთა მე-3 შრომითი სამეცნიერო რაზმები). 21.10 — კონცერტი. 21.35 — მაიაკოვსკის დღეები საქართველოში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროგრამა“ (მ.). 22.50 — მულტფილმები მხოლოდ უფროსებისათვის (მ.). 23.10 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

ᲧᲐᲖᲐᲮᲘ

ნანა იოსელიანისა და ქეთევან არახამიას წარმატება

იუგოსლავიის ქალაქ ტუზლაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი. ბოლო ტურში ნანა იოსელიანი დაუზოგდა ბეტინა ტრაბერტს (გფრ), დააგოროვა 13 ქულა და პირველ ადგილს დაეუფლა. წარმატება იზეიმა ქეთევან არახამიამაც. მან ბოლო შეხვედრაში დაამარცხა უნგრელი მარია ივანკა-ბუდინსკი და 12 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. ამრიგად, იოსელიანმა და არახამიამ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. 11,5-11,5 ქულით ლიდია სეფიონოვამ და პოლონელმა აგნეშკა ბრუსტმანმა მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს. პრეტენდენტთა შეჯიბრების მესამე საგზურს ეს მოჭადრაკენი დამატებით მატჩში გაითამაშებენ.

სატურნირო ორბიტა

ფიზკულტურელის საკავშირო დღე. გუშინ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა მთელმა რესპუბლიკამ დიდი ზეიმით აღნიშნა. საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოეწყო ფიზკულტურული დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები ახვადასხვა სახეობის სპორტში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თბილისში მოწყობილი ღონისძიება, რომელებშიც ათასობით თბილისელმა ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

საორგანიზაციო საკოლეგიის მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობანი. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში მოსწავლეთა ამ დიდი ფორუმის ბოლო შეჯიბრებები გაიმართება და საბოლოოდ დაჯამდება შედეგები. მანამდე კი გაგაცნობთ საქართველოს ნაკრები გუნდების შორის, როგორც ცნობილია, ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ საბჭოთა ფეხბურთელები რინატ დასაევი, ალექსანდრე ზავაროვი და იგორ ბელანოვი. შეხვედრა დამთავრდა ინგლისის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

კალეიდოსკოპი

შეიძლება ყველამ არც კი იცის, რომ არსებობს საერთაშორისო კომიტეტი, რომელსაც ეწოდება „კეთილსინდისიერი ასპარეზობისათვის“. ამჟამად ამ კომიტეტის პრეზიდენტია ყოფილი უიმბლდონის ჩემპიონი, ფრანგი ჩოგბურთელი ჟან ბოროტრა. ახლახან კომიტეტის გადწყვეტილებით თავისი უმაღლესი ჯილდო — პიერ კუბერტენის სახელობის პრიზი მიენიჭა წარსულში სახელგანთქმულ ინგლისელ ფეხბურთელს, 72 წლის სერ სტენლი მეტიუზს. მას ეს ჯილდო გადაეცა სპორტული მიღწევებისათვის, რომელებიც ძან სწორედ კეთილსინდისიერ მეტოქეობაში მოიპოვა. მეტიუზმა 84-ჯერ ითამაშა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში და 50 წლისა იყო, როცა საფეხბურთო კარიერა დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ მან 30 საფეხბურთო სეზონში იასპარეზა და მსაჯებისაგან ერთხელაც არ მიუღია გაფრთხილება. ასეთივე ჯილდო მიღეს უნგრელმა ნიჩბოსნებმა იშტვან ვაშუუტმ და იანოშ შროში-კიშმა. მათ მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს თავიანთი სარეზერვო ნავი გადასცეს იუგოსლავთა ეკიპაჟს, მაგრამ როცა თავად დაუზიანდათ ძირითადი ნავი, უნგრელებს არ მოუთხოვიათ თავიანთი ნავის დაბრუნება. შედეგად უნგრელები მეზუთენი მივიდნენ ფინიშთან, იუგოსლავებმა კი მათზე ადრე გადაკვეთეს საფინიშო ხაზი.

1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ აქ უკვე დაიწყო ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, იქ, სადაც ოლიმპიური სოფელი განლაგდება, უკვე დაანგრიეს 40 პატარა ფაბრიკა და 37 საცხოვრებელი სახლი. მიმდინარე წლის დეკემბრამდე ამ ადგილიდან გადაიტანენ კიდევ 65 წვრილ საწარმოს, 70 ოჯახს კი ახალ ბინებს გამოუყოფენ და გამოთავისუფლებულ ადგილზე აიგება ოლიმპიური სოფელი, რომლის ფართობი 115 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. ერთი სიტყვით, კეთილმოეწყობა ქალაქ ბარსელონის სანაპიროზოლი, აქვე გაიხსნება 26 კილომეტრი სიგრძის პლაჟი.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ცეცხლის ბურთი ამურის თავზე

ხაბაროვსკი. ნოვოსიბირსკის სტუდენტთა რაზმის „სელენას“ მებრძოლები გ. ფედოროვა, ნ. პრუდნიკოვა და ნ. კიშენინა, რომლებიც ხაბაროვსკის სამდინარო ვაგზლის დებარკადერში თავიანთი სსტუმროს ნომერში ელოდებოდნენ გამოდარებას, იშვიათი და ფრიად საშიში მოვლენის მოწმენი გახდნენ. ცა მოიქუფრა, ატყდა ჭექა-ქუხილი და კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. მოულოდნელად მეგობრებმა სარკმელთან დაინახეს ცეცხლის სფერო, რომელიც ზომით პატარა საბავშვო ბურთისოდენა იქნებოდა. გაისმა ყურთასმენისწამღები ჭახანი და სფეროსებრი ელვა, რომელმაც თვალი მოსჭრა გოგონებს, ნაპერწკლების კორიანტელად დაიფანტა.

შემდეგ გამოირკვა, რომ ციური „სტუმარი“ კარგა ხანს „დადიოდა“ სასტუმროში. თავდაპირველად „გაღებული ყარმლიდან ვესტიბიულში შემოფრინდა, შემდეგ მდოვრედ შემოუარა ოთახს და შენობიდან გაცურდა. იგი აფეთქდა იმ ნომრის სარკმლის წინ, სადაც სტუდენტი გოგონები იყვნენ. დებარკადერის სახურავზე აფეთქებისთანავე გაჩნდა ხანძარი. შკიპერი ს. ნიკულინი არ დაიბნა, ცეცხლსაქრობს სტაცა ხელი და მოგიზგიზე ალს მიუშვირა. მეხანძრეები რომ მოვიდნენ ცეცხლი უკვე ჩამქრალი იყო.

ე. ტუნიკოვა,
საკადეტის კორ.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

КОМУНИСТ ИКАРЕМ 66434 — 07036 — საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კოტაჟული. ბოშარაულის ქუ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14